საექსპერტო შეფასება

„ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩა N63-ში, შპს "მოდერნ ჰაუს დეველოპმენტი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.24.018.029) სასაწყობე შენობა-ნაგებობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.”

ექსპერტიზის შესრულების თარიღი: 24.08.2026

ქ. თბილისი

შინაარსი

- საექსპერტო დასკვნის გამოყენების წესები....3
- გადმოგზავნილი დოკუმენტაციის შემადგენლობა, რომლის საფუძველზეც მომზადებულია საექსპერტო დასკვნა....3
- საპროექტო დავალების ზოგადი აღწერა....4
- 1 - გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება....5
- 2 - შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება....5
- 3 - კონსტრუქციის ტიპის შეფასება....6
- 4 - ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება....6
- 5 - ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება....7
- 6 - გასასვლელი საშუალებების შეფასება....9
- 7 - მისაწვდომობის შეფასება....10
- 8 - შიგა გარემოს შეფასება....11
- 9 - გარე კედლების შეფასება....12
- 10 - სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება....12
- 11 - წყალსადენი სისტემების შეფასება....13
- შეფასება....13

საექსპერტო დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.
- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.
- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.
- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.
- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.
- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

გადმოგზავნილი დოკუმენტაციის შემადგენლობა, რომლის საფუძველზეც მომზადებულია საექსპერტო დასკვნა:

- განმარტებითი ბარათი;
- შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
- პირობითი აღნიშვნები;
- დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის გეგმა;
- დასაგეგმარებელი შენობის სართულის გეგმა (არქიტექტურული ნაწილი);
- დასაგეგმარებელი შენობის ფასადები (არქიტექტურული ნაწილი);
- დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები (არქიტექტურული ნაწილი);
- დასაგეგმარებელი შენობის სართულის გეგმა (დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი);

- დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა (ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი);
- დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები (ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი);
- დასაგეგმარებელი შენობის სართულის გეგმა (მისაწვდომობის ნაწილი);
- მისაწვდომობის დეტალიზაციები.

საპროექტო დავალების ზოგადი აღწერა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩა N63-ში, N01.19.24.018.029 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

საპროექტო მიწის ნაკვეთი ყველა მხრიდან შემოსაზღვრულია რეგისტრირებული საკადასტრო ერთეულებით, მიუხედავად ამისა, მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის სამხრეთით არსებულ საზღვართან გათვალისწინებულია სერვიტუტი. მიწის ნაკვეთი ასევე ითვალისწინებს სახანძრო მანქანის მისადგომობას საპროექტო შენობამდე აღმოსავლეთით და სამხრეთით არსებულ ფასადებთან მთელს სიგრძეზე, რაც დარეგულირებულია წესების 915-ე ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად, რომლის შესახებ ანალიზი მოცემულია დასკვნის მე-5 თავში.

საპროექტო მიწის ნაკვეთი ხასიათდება მსუბუქი ქანობის რელიეფურობით, შესაბამისად მიწის საკონტროლო დონის განსაზღვრის აუცილებლობა არ წარმოიშვა. მიწის საკონტროლო დონედ მიჩნეულ იქნას საპროექტო შენობის მიმდებარედ ყველაზე დაბალი რელიეფის ნიშნული.

წარმოდგენილი კორექტირებული არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებულია არაწვადი სამშენებლო მასალების შესანახი ერთ სართულიანი საწყობის მშენებლობა.

შენობის ყველა ნაწილი მისაწვდომია შშმ პირთათვის. მისაწვდომობასთან დაკავშირებული ვრცელი ანალიზი იხილეთ წინამდებარე დასკვნის მე-7 თავში და დასკვნაზე თანდართულ მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის საფუძველზე განხორციელებულ შეფასებაში.

საპროექტო შენობა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებითაა აღჭურვილი. თითოეული ასეთი სისტემის მიმართ ანალიზი მოცემულია დასკვნის მე-5 თავში.

საპროექტო შენობა შეიფუთება სენდვიჩ-პანელების ფილებით. გარე კედლებსა და სახურავის ანაწყობებთან მიმართებაში ანალიზი მოცემულია წინამდებარე დასკვნის მე-9 და მე-10 თავებში.

1. გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- შენობის თითოეული ნაწილი დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით დაკლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად;
- შენობაში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:

  - **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (არაწვადი სამშენებლო მასალების შესანახი საწყობი 0.00 ნიშნულზე) - შეესაბამება 311.3 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება საწყობად გამოყენებული სივრცე, სადაც ინახება მცირე საფრთხის შემცველი ინვენტარი.

- **თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:**
  - საწყობი..... 46.5 მთლიანი;

- ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით დაანგარიშებულია დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.

2. შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- საპროექტო შენობის სიმაღლე მიწის დონიდან განსაზღვრულია 8.73 მეტრით და შენობა მოიცავს მიწის დონის ზედა 1 (ერთი) სართულს;
  - შენობაში გამოყენებულია მხოლოდ სწ-2 დაკავებულობის ჯგუფი;
- საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის (I-A) მიხედვით.

3. კონსტრუქციული ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი (I-A) შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფისა და დაკავებულობის ჯგუფის ფართობის გათვალისწინებით სწორად არის შერჩეული.
- (I-A) კონსტრუქციის მქონე შენობის ცეცხლმედეგობისადმი მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს 601 ქვეთავს შემდეგ სახით:
  - ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ..... 3 სთ;
  - გარე და შიგა მზიდი კედლები ..... 3 სთ;
  - იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ..... 2 სთ;
  - სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ..... 2 სთ.

  არქიტექტურული პროექტის ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილში ასახულია ასეთი კონსტრუქციული ელემენტების მოთხოვნის ცეცხლმედეგობის ხარისხებთან მიმართებაში შესაბამისობა. თუმცა, კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობების ხარისხი ასევე უნდა დაზუსტდეს კონსტრუქციულ პროექტში „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს 721 და 722 ქვეთავების მიხედვით.
- რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით, I-A ტიპის კონსტრუქციის შენობის „ა-ი“ და „30-1“ ფასადებზე საჭიროებს 1 (ერთ) საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხის განსაზღვრას, რაც წარმოდგენილი პროექტით დაცულია.

4. ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- ნაშვერები, რომლებიც გარე კედლის მიღმა ვრცელდება, არ უახლოვდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელ ხაზს 705.2 ცხრილში მითითებულ მანძილზე მეტად.
- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური პროცენტულობა შეესაბამება 705.8 ჩხრილის მოთხოვნებს (იხ. წესების ანალიზი);
- შენობას არ ემსახურება პარაპეტი, თუმცა აღნიშნული დასაშვებია 705.11 ქვეთავის მესამე გამონაკლისით.

5. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

➢ **ავტოსაშხეფი სისტემა:**

- საპროექტო შენობაში არ არის მოწყობილი ავტოსაშხეფი სისტემა, რაც დასაშვებია ქვემოთ მოცემული პირობების გათვალისწინებით:

➢ სწ-2 ჯგუფის საწყობებისთვის საშხეფი სისტემის ვალდებულება 903 ქვეთავით არ არის განსაზღვრული;

➢ შენობაში დაცულია 903.2.11 ქვეთავის მოთხოვნები, სართულის ორი ფასადის ყოველ 15 მეტრში მოწყობილია ღიობები, რომელთა ფართობი 1.9 კვ.მ-ზე მეტია. აუცილებელი ღიობები ისეა განაწილებული, რომ ხაზოვანი მანძილი მომიჯნავე ღიობებს შორის არ აღემატება 15 მეტრს. თავისუფალი ღიობის ძირი იატაკიდან მდებარეობს არაუმეტეს 1.2 მ სიმაღლეზე;

➢ **სახანძრო მილდგარების სისტემა:**

- 905.3.1 ქვეთავის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი ან ყველაზე დაბალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთ ან ქვემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი ან ყველაზე მაღალი დონიდან. საპროექტო შენობის სართულიანობიდან გამომდინარე მსგავსი ტიპის მახასიათებლები არ განისაზღვრება. შესაბამისად, საპროექტო შენობაში III კლასის სახანძრო მილდგარების ვალდებულება არ ვრცელდება ტექნიკურ რეგლამენტზე დაყრდნობით, თუმცა II კლასის მილდგარები შენობაში მოწყობილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზოგადი მოთხოვნების გათვალისწინებით;

  მილდგარები უნდა მოეწყოს NFPA 14-ის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ასევე დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება. ხანძარქრობის სისტემის საინჟინრო დოკუმენტაცია წარედგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.

➢ **ხელის ცეცხლმაქრები:**

- 906 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, შენობაში განთავსებულია ხელის ცეცხლმაქრები. ხელის ცეცხლმაქრები მოეწყობა NFPA 14-ის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

➢ **სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:**

- იმის გათვალისწინებით, რომ სასაწყობე ფართობი წარმოადგენს მუდმივად დაუკავებელ სივრცეს, სავალდებულოა მისი კვამლაღმომჩენებით უზრუნველყოფა. საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია კვამლის ავტომატური აღმომჩენები;

- შენობის მომსახურე გასასვლელის კარის ღიობებთან მოწყობილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები, რაც შეესაბამება 907 ქვეთავის მოთხოვნას;

- შენობა უზრუნველყოფილია სახანძრო განგაშის სისტემით, რომელიც იყენებს ხმოვანი განგაშის შეტყობინების დანადგარებს, თანახმად 907.5.2.1 ქვეთავისა;

- შენობის საერთო გამოყენების ფართობზე მოწყობილია მხედველობითი განგაშის სისტემა, რაც შეესაბამება 907.5.2.3.1 ქვეთავის მოთხოვნას;

- შენობაში მოწყობილია საავარიო განათების სისტემა, რაც შეესაბამება წესების მოთხოვნას;

<u>სახანძრო განგაშის სისტემა უნდა დააყენონ NFPA 72-ის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ელექტროგაყვანილობა უნდა აკმაყოფილებდეს NFPA 70-ისა და NFPA 72-ის მოთხოვნებს. სახანძრო განგაშის სისტემის ძირითადი და დამატებითი ელექტრომომარაგება უნდა განხორციელდეს NFPA 72-ის შესაბამისად. ასევე, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება. ხანძარქრობის სისტემის საინჟინრო დოკუმენტაცია წარედგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.</u>

➢ **სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზის დაგეგმარება:**

- შენობა-ნაგებობის სახანძრო ტექნიკური სიმაღლე არ აღემატება 10 მეტრს. შენობამდე უზრუნველყოფილია სახანძრო ტექნიკის მისადგომი გზა და ამას გარდა, უშუალოდ საპროექტო ნაკვეთზე დამატებულია შენობის სახანძრო ტექნიკის მისადგომი გზის არეალები. ასეთი სახანძრო ტექნიკის მისადგომი გზები შეესაბამება 915.4 ქვეთავის მოთხოვნებს (იხ. საპროექტო დოკუმენტაციაზე თანდართული სახანძრო გენ-გეგმა). ამას გარდა, შესაბამისობა გარკვეულ წილად დაცულია 915.14 ქვეთავთან მიმართებაშიც, ვინაიდან, სწ ჯგუფის შენობის სიგანე აღემატება 30 მეტრს, ორი ფასადის გასწვრივ „1-31“ და „ი-ა“ ღერძებში, ფასადების მთელ სიგრძეზე უზრუნველყოფილია სახანძრო ტექნიკის

მისადგომი გზა. რაც შეეხება, „31-1„ და „ა-ი“ ფასადებს, აღნიშნული მოიცავს მხოლოდ ყრუ კედლებს, შესაბამისად, მათთან სახანძრო-სამაშველო მისადგომობა არ არის გათვალისწინებული;

- საპროექტო ნაკვეთზე მოწყობილ სახანძრო ტექნიკის მისადგომ გზასთან მიმართებაში, ასევე დაცულია 915.23 ქვეთავის მოთხოვნა და ორივე ჩიხის ბოლოს მოწყობილია 15 მეტრი დიამეტრის მქონე მოსატრიალებელი მოედანი.

6. გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- საპროექტო შენობისთვის გასასვლელების რაოდენობა აკმაყოფილებს 1021.2 ქვეთავის მოთხოვნას, კერძოდ: შენობის დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 500 დამკავებელს, შესაბამისად 1021 ქვეთავის თანახმად, მოეთხოვება ორი გასასვლელი, რაც პროექტით დაკმაყოფილებულია და გათვალისწინებულია 13 (ცამეტი) გასასვლელის გზა-კარი;

- ზემოაღნიშნული გასასვლელიდან სულ მცირე ორ გასასვლელის შორის დაცულია სივრცის მაქსიმალური დიაგონალის ნახევარზე მეტი მანძილი, რაც შეესაბამება 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნას;

- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილები აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს;

- საერთო სავალი ბილიკები აკმაყოფილებს 1014 ქვეთავის მოთხოვნას;

- გასასვლელი საშუალების (კარის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5.1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი კარის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და საპროექტო შენობის მომსახურე თითოეული გასასვლელი საშუალების კარის თავისუფალი სიგანე სულ მცირე 0.89 მეტრია;

- შენობის მომსახურე გარე და შიგა გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7.6 მმ-ია თითო დამკავებელზე. ასეთი სახით გამოთვლილი კიბის გამტარუნარიანობა ნაკლებია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია როგორც 1009.4 ქვეთავით, ისე 1007.3 ქვეთავის განსაზღვრული მოთხოვნა და გზა-კიბის სიგანე სახელურებს შორის უტოლდება სულ მცირე 1.22 მეტრს;

- გზა-კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. ამასთან, საფეხურების ერთგვაროვნება დაცულია, თანახმად 1009.7.4 ქვეთავის მოთხოვნას;

- გზა-კიბის ბაქნები აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს;

- იატაკის დონეებსა ან ბაქნების შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა;

- კიბის მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს;

- კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს;

- ვინაიდან შენობა ერთ სართულიანია, სახურავის დონეზე კიბის საშუალებით მიდგომა არ არის სავალდებულო, თანახმად 1009.16 ქვეთავის მოთხოვნებისა;

- გასასვლელის ყველა კარი იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც აკმაყოფილებს 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას;

- თითოეული გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასვლელი ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას;

- გარე ბაქანი წარმოადგენს დასატვირთ ბაქანს და მასზე სადაშვებია არ იქნას გათვალისწინებული მოაჯირების მოწყობა, თანახმად 1013 ქვეთავის პირველი გამონაკლისით.

7. მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია და საპროექტო შენობა მისაწვდომია;

- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრცეებიდან შენობის მთავარ შესასვლელებამდე, თანახმად 1104 ქვეთავისა;

- თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს (იხ. სტანდარტის შეფასება);

- შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომი ტუალეტის ოთახები, რაც შეესაბამება 1109.2 ქვეთავის მოთხოვნას. ტუალეტის ოთახების მისაწვდომი მოთხოვნები შეესაბამება მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებს;

- შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას. თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს მისაწვდომ სვლაგეზს, რაც შეესაბამება 1107.2 ქვეთავის მოთხოვნას;

- თითოეული გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასვლელი ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

8. შიგა გარემოს შეფასება:

- საპროექტო შენობა ნიავდება მექანიკურად, თანახმად 1203.1 ქვეთავისა;

- რაც შეეხება ტუალეტის ოთახებს, ასეთი სივრცეები ნიავდება მექანიკურად, რაც შეესაბამება 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას;

- დაკავებული სართულის ჭერის სიმაღლე არ არის 2.3 მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.ქვეთავს;

- ეზოები აკმაყოფილებს 1206 ქვეთავის მოთხოვნებს.

9. გარე კედლების შეფასება:

- საპროექტო გარე კედლების მასალად გამოყენებულია სენდვიჩპანელები. ფასადების მცირე ნაწილი იღესება.

- გარე კედლად გამოყენებული ლითონშემცველი მასალები უნდა აკმაყოფილებდეს 1407 ქვეთავის მოთხოვნებს და უნდა პასუხობდეს შემდეგს:

  - ლითონშემცველი მასალების ალის გავრცელების ინდექსი უნდა იყოს 75 ან 75-ზე ნაკლები, ხოლო კვამლის განვითარების ინდექსი - 450 ან 450-ზე ნაკლები;

  ზემოაღნიშნული ინფორმაცია მითითებულია საპროექტო დოკუმენტაციაში და აღნიშნული სავალდებულოდ უნდა იქნას დაცული მშენებლობის პროცესში.

- 1405.4 ქვეთავის თანახმად, ჰიდროიზოლაცია მოეწყობა გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, ადგილებში საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაციის მოწყობის თაობაზე შესაბამისი მითითებები სავალდებულოდ დასაცავია მშენებლობის პროცესში, შესაბამისად, ყოველივე აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია მითითებულია წარმოდგენილ გარე კედლის დეტალებზე შენიშვნის სახით.

10. სახურავის ანაწყობებისა და სახურავზედა ნაგებობების შეფასება:

- სახურავის მასალად გათვალისწინებულია სენდვიჩპანელი;

- სახურავის დახრა შეადგენს სულ მცირე 10,5%-ს;

- სახურავის წყალგამშვები ღიობის ზომა არ არის 10 სმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1503.4 ქვეთავის მოთხოვნებს;

- სახურავის ბურულის კლასიფიკაცია უნდა განისაზღვროს B კლასის კატეგორიით. B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას;

- რაც შეეხება ჰიდროიზოლაციას, იგი მოეწყობა გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთის არეალებში, თანახმად 1405.4 ქვეთავის მოთხოვნისა. ყოველივე აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია მითითებულია წარმოდგენილ დეტალზე.

11. წყალსადენი სისტემების შეფასება:

- თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობის დასადგენად, დამკავებელთა საერთო რაოდენობა ორზე არის გაყოფილი, მოწობილობების აუცილებელი რაოდენობის გამოსათვლელად, მოწყობილობების პროპორცია თითოეული მოწყობილობის ტიპისთვის

თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობას მიესადაგება 1602.1 ცხრილის შესაბამისად. 1602.1 ცხრილის გამოყენებისას მიღებული წილადი რიცხვები კი მომდევნო მთელ რიცხვამდეა დამრგვალებული. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1602.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია 8 (ოთხი) ტუალეტი, რომელიც გათვლილია თითოეული სქესისთვის. თითოეულ ტუალეტის ოთახში გათვალისწინებულია 1 (ერთი) უნიტაზი და 1 (ერთი) ხელსაბანი. სწ-2 ჯგუფისთვის წყალსადენი სისტემების რაოდენობა აკმაყოფილებს 1602.1 ცხრილით განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნას. აღნიშნული ჯგუფისთვის ასევე გათვალისწინებულია სამი სამომსახურეო ნიჯარა და ორი წყლის დასალევი დისპენსერი;

- ზემოაღნიშნულ არცერთ წყალსადენთან მისადგომი ბილიკის სიგრძე არ აღემატება 150 მ-ს, რაც შესაბამისობაშია 1602.3.2 ქვეთავის მოთხოვნასთან.

შეფასება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩა N63-ში, შპს "მოდერნ ჰაუს დეველოპმენტი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.24.018.029) სასაწყობე შენობა-ნაგებობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტი - „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ მოთხოვნებთან.

ასევე ვადასტურებ, რომ არქიტექტურული პროექტი შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე.

არქიტექტურულ პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: ..... **მ. წიკლაური**

საექსპერტო შეფასება

„ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩა N63-ში, შპს "მოდერნ ჰაუს დეველოპმენტი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.24.018.029) სასაწყობე შენობა-ნაგებობის „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად საექსპერტო შეფასება.”

ქ. თბილისი 24.08.2026წ.

ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს საფუძველზე შეფასდა:		
➢	მისაწვდომი სვლაგეზი:	• სავალი ზედაპირები; • კარები; • პანდუსები;
➢	ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები:	• გზა-კიბე;
➢	წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები:	• ტუალეტების ოთახები; • უნიტაზები; • ხელსაბანები;
➢	საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:	• ნიშნები;

შინაარსი

მისაწვდომი სვლაგეზი: 2

ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები: 4

წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები:.....5

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:.....6

შეფასება:.....8

მისაწვდომი სვლაგეზი:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს და ლიფტს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. **მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას;
- საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირი არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, რაც შეესაბამება 403.3 ქვეთავის მოთხოვნას;
- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 1100 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას;
- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ კრიტერიუმებს;
- საპროექტო შენობაში და მის გარეთ მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

2. **კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას;
- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს;
- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.

3. **პანდუსები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 405 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- პანდუსების დახრა არ არის 1/12-ზე მეტი, კერძოდ ორივე პანდუსის დახრის პროცენტულობა შეადგენს არაუმეტეს 8.0%-ს, რაც შეესაბამება 405.2 ქვეთავის მოთხოვნებს;
- ქანობი, რომელიც იზომება პანდუსების სავალი მიმართულების პერპენდიკულარულად, არ აღემატება 1:48-ს, რაც შესაბამისობაშია 405.3 ქვეთავის მოთხოვნებთან;
- პანდუსების თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის შეადგენს სულ მცირე 900 მმ-ს, რაც შესაბამისობაშია 405.5 ქვეთავთან;
- პანდუსების სვლის ამაღლება შეადგენს არაუმეტეს 750 მმ-ს, რაც შესაბამისობაშია 405.6 ქვეთავთან;
- პანდუსების თავსა და ბოლოში უზრუნველყოფილია ბაქნები, ბაქნები არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი და მათი ზედაპირები შეესაბამება 302-ე ქვეთავს, ბაქნების თავისუფალი სიგანე უტოლდება პანდუსის სიგანეს, ბაქნების თავისუფალი სიგრძე შეადგენს 1500 მმ-ს. სადაც ბაქანი ასრულებს 90 გრადუსიან ბრუნს მისი გაბარიტები უტოლდება 1500x1500 მმ-ს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 405.7 – 405.7.4 ქვეთავების მოთხოვნებს;

- ვინაიდან პანდუსების ამაღლება ცდება 150 მმ-ს, პანდუსებს ემსახურება სახელურები, რაც აკმაყოფილებს 405.8 ქვეთავის მოთხოვნებს. თავის მხრივ სახელურები შეესაბამება 505-ე ქვეთავს;
- იქ სადაც პანდუსებს არ ესაზღვრება კედელი, მათი კიდეები დაცულია მოაჯირებით, რაც შეესაბამება 405.9 ქვეთავის მოთხოვნას.

ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები:

1. **მისაწვდომი კიბისადმი მოთხოვნები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მე-5 თავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- კიბის მარშის ყველა საფეხურს აქვს თანაბარი სიმაღლის ამაღლებები და თანაბარი სიღრმის საბიჯელები. მათი ზომები შეესაბამება 504.2 ქვეთავს;
- კიბის მარშის საზღვრებში არ არის მოწყობილი ღია შუბლები, რაც შეესაბამება 504.3 ქვეთავს;
- საფეხურის საბიჯელები შეესაბამება 302-ე ქვეთავს და დაქანება არ არის 1:48-ზე მეტი;
- კიბის ყოველი საბიჯელის 40 მმ სავალ ნაწილს, რომელიც იზომება საფეხურის ნაშვერიდან თარაზულად, აქვს ერთგვაროვანი ფერის მქონე ზედაპირი, რომელიც საფეხურის დანარჩენი ნაწილისგან მკვეთრად განსხვავებულია (მუქი ღია ფონზე). ხილვადი კონტრასტი გრძელდება ყოველი საფეხურის ერთი კიდიდან საფეხურის მეორე კიდემდე;
- კიბეზე მოწყობილია 505 ქვეთავის შესაბამისი სახელურები:

  - ✓ სახელურები განთავსებულია კიბეების ორივე მხარეს;
  - ✓ სახელურები უწყვეტად მიუყვება კიბის მარშის მთელ სიგრძეს;
  - ✓ სახელურების ხელმოსაჭიდი ზედაპირების თავი კიბის წინაპირებიდან არაუმცირეს, 860 მმ-ის და არაუმეტეს, 1000 მმ სიმაღლეზეა განთავსებული;
  - ✓ ხელმოსაჭიდ ზედაპირებსა და მომიჯნავე ზედაპირებს შორის, არაუმცირეს, 40 მმ თავისუფალი სივრცეა შენარჩუნებული;
  - ✓ ხელმოსაჭიდი ზედაპირები არის უწყვეტი;

- ✓ სახელურების გარე დიამეტრი უტოლდება 30 მმ-ს;
- ✓ სახელურების გაგრძელებები შეესაბამება 505.10 ქვეთავის მოთხოვნას.

წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები:

1. **შენობაში განთავსებული მისაწვდომი ტუალეტები შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- ტუალეტის ოთახში უზრუნველყოფილია 1700 მმ დიამეტრის მქონე მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 და 304.3.1.1 ქვეთავების მოთხოვნას;
- ტუალეტის ოთახის კარის გაღებისას არ იჭრება მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს;

2. **ტუალეტის ოთახებში განთავსებული უნიტაზები შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- უნიტაზი განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას;
- შენობაში მოწყობილ მისაწვდომ ტუალეტებში განთავსებულ უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას;
- უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს;
- მისაწვდომ ტუალეტებში განთავსებული უნიტაზებისთვის მოწყობილია ხელმოსაჭიდი ძელები, რაც აკმაყოფილებს 604.5 ქვეთავების მოთხოვნებს;
- შენობაში მოწყობილი მისაწვდომი უნიტაზები უზრუნველყოფილია 309 და 604.6 ქვეთავების მოთხოვნების შესაბამისი ჩარეცხვის სამართავებით;
- შენობაში მოწყობილი მისაწვდომ უნიტაზებთან მოწყობილია 309.4 და 609.3 ქვეთავების მოთხოვნების შესაბამისი ქაღალდის დისპენსერები.

3. **ტუალეტის ოთახებში განთავსებული ხელსაბანები შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 და 305.3.1 ქვეთავების შესაბამისად;
- ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606.3 ქვეთავის მოთხოვნასთან;
- მისაწვდომ ტუალეტებთან განთავსებულია 703.6.3.1 ქვეთავის შესაბამისი მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო.

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

1. **საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41-ე დადგენილების მოთხოვნები შენობებში მისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:**

- შენობის შიდა სივრციდან გარეთ გამავალ კარებებთან, მოწყობილია ნიშანი ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“. **აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში;**
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია ორივე მისაწვდომი ტუალეტის ოთახთან. **ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს;**

➢ **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით;

- სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს;
- ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს;
- სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.

➢ **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად;
- ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასობგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა;
- ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა;
- შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად;
- სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას;
- ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს;
- სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

➢ **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა;
- ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამება 703.4.3 ცხრილს;

- ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს;
- ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.

➢ **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა;
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს;
- მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

შეფასება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩა N63-ში, შპს "მოდერნ ჰაუს დეველოპმენტი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.24.018.029) სასაწყობე შენობა-ნაგებობის კორექტირებული მისაწვდომობის პროექტი შესაბამისობაშია „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან.

ასევე ვადასტურებ, რომ მისაწვდომობის პროექტი შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე.

მისაწვდომობის პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: ..... **მ. წიკლაური**

მარიამ წიკლაური

ელ-ფოსტა mariamtsiklauri91@gmail.com

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

დაბადების თარიღი: 20.05.1991

განათლება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 09.2015 - 07.2016
არქიტექტურა/დიზაინი, არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი
მაგისტრი
GPA ქულა:
, მიმაგრებული ფაილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 09.2009 - 07.2013
არქიტექტორი, არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი
ბაკალავრი
GPA ქულა:
, მიმაგრებული ფაილი

სამუშაო გამოცდილება

ურბანული განვითარების დეპარტამენტის კონსულტანტი, სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო, 15.07.2024 - დღემდე (8 თვე - 0 წელი 8 თვე და 11 დღე)

მოვალეობები:

III და IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების უფროსი სპეციალისტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, 02.10.2023 - 12.07.2024 (9 თვე - 0 წელი 9 თვე და 11 დღე)

მოვალეობები: III-IV კლასის შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება; მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული კორესპონდენციის განხილვა; სამსახურის გამართული მუშაობის მიზნით, შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება; მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შეფასება და დადგენა; განყოფილების ყოველკვირეული, ყოველთვიური, კვარტალური და წლიური სტატისტიკური მონაცემების წარმოება და მომზადება; უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება; სამსახურის უფროსის დავალებების შესრულება; დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელება., მიმაგრებული ფაილი

სპეციალისტი, შპს „ბილდინგ სტანდარტს კონსალტინგი“, 01.06.2020 - 01.06.2023 (36 თვე - 3 წელი 0 თვე და 1 დღე)

მოვალეობები: არქიტექტურული პროექტების შემოწმება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის 41-ე დადგენილების შესაბამისობასთან და საექსპერტო დასკვნის მომზადება/გაცემა.
ასევე, არქიტექტურული პროექტების შემოწმება ტექნიკური რეგლამენტი - "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები"-ის შესაბამისად და საექსპერტო დასკვნის მომზადება/გაცემა., მიმაგრებული ფაილი

I და II კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების სპეციალისტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური , 01.09.2016 - 01.03.2020 (42 თვე - 3 წელი 6 თვე და 1 დღე)

მოვალეობები: I კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობა/მონტაჟის ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობისა და მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის წერილობითი დადასტურებისთვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება; II კლასის შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება; მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული კორესპონდენციის განხილვა; სამსახურის გამართული მუშაობის მიზნით, შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება; განყოფილების ყოველკვირეული, ყოველთვიური, კვარტალური და წლიური სტატისტიკური მონაცემების წარმოება და მომზადება; უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება; სამსახურის უფროსის დავალებების შესრულება; დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელება., მიმაგრებული ფაილი

კანცელარიისა და საკონსულტაციო განყოფილების სპეციალისტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, 01.12.2015 - 01.09.2016 (9 თვე - 0 წელი 9 თვე და 1 დღე)

მოვალეობები: ინფორმაციული დახმარების გაწევა მიმდინარე კანონმდებლობასა და არქიტექტურულ საკითხებთან მიმართებაში.

არქიტექტორი, შპს "გალფ დაიმონდ კონსტრაქშენ", 01.09.2014 - 01.10.2015 (13 თვე - 1 წელი 1 თვე და 1 დღე)

მოვალეობები: არქიტექტურა, პროექტირება., მიმაგრებული ფაილი

სრული სტაჟი 117 თვე (9 წელი 9 თვე და 25 დღე)

ენები

რუსული (მეტყველება: A2, წერა: A2) **ინგლისური** (მეტყველება: B2, წერა: B2) **ქართული** (მეტყველება: C2, წერა: C2)

კომპიუტერული პროგრამები

Microsoft Office Word (ძალიან კარგი), **Microsoft Office Excel** (ძალიან კარგი), **Microsoft Office PowerPoint** (ძალიან კარგი), **3D MAX** (ძალიან კარგი), **AutoCAD** (კარგი), **ArchiCAD** (ძალიან კარგი), **Windows** (ძალიან კარგი), **MS office applications** (კარგი), **Arc GIS** (ძალიან კარგი),

ტრენინგები, სხვა მიღწევები

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, 03.2016-03.2016
კომუნიკაციის თანამედროვე მეთოდები, სერტიფიკატი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 12.2012-12.2012
ზოგადი მენეჯმენტი, სერტიფიკატი

ნაშრომები, პუბლიკაციები

სტატია-" სოციალური ეკონომიკა, XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები", 01.2016ძველი თბილისის სადარბაზოების წარსული, აწმყო და მომავალი., , ატვირთული ფაილი

სტუდენტთა 83-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 05.2015ძველი თბილისის სადარბაზოების წარსული, აწმყო და მომავალი.,

პრეზენტაციები შვეიცარულ-ქართული სტუდენტური ვორქშოპის ფარგლებში., 11.2012 სოციალური საცხოვრისის კვლევა და ანალიზი.,

სტუდენტთა მე-80 ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 03.2012შშმპ-საიდუმლო აბრევიატურა, თუ ჩვენი მოქალაქეები? ვის მტრობს არქიტექტურული გარემო.,

რეკომენდატორები

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური - სამსახურის უფროსი,
t.bolotaShvili@tbilisi.gov.ge,593218360, მიმაგრებული ფაილი

დამატებითი დოკუმენტები

კონკურს-კლაუზურაში მიღწეული წარმატებისათვის პრემია.

ტრენინგ-კურსი ზოგად მენეჯმენტში - სერთიფიკატი

სტუდენტთა მე-80 ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - დიპლომი

ქართულ-შვეიცარულ არქიტექტურული სტუდენტური კონკურსი - დიპლომი

სტუდენტური გამოფენა-დათვალიერება მონაწილეობისთვის - დიპლომი

ქართულ-კანადური სასწავლო ცენტრი - სერთიფიკატი

ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ

სტუდენტთა მე-83 ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - დიპლომი

ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ

საქართველო

Georgia

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

Legal Entity of Public Law

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

მაგისტრის დიპლომი

Master's Diploma

MD № 000606

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 2016 წლის 12 ივლისის №2158 გადაწყვეტილებით მარიამ წიკლაურს მიენიჭა არქიტექტურის მაგისტრის აკადემიური ხარისხი

By the decision № 2158 July 12, 2016 of the Faculty of Architecture, Urban Planning and Design Ms. Mariam Tsiklauri was awarded the Degree of Master of Architecture

რეგისტრაციით / Registration № 00603

თბილისი / Tbilisi 25 (რიცხვი/Day) 07 (თვე/Month) 2016 (წელი/Year)

დეკანი / Dean — მ/შ / Act.Dean გია ნაცვლიშვილი / Gia Natsvlishvili

რექტორი / Rector — არჩილ ფრანგიშვილი / Archil Prangishvili

ბ.ა / Seal

GEORGIA

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

BACHELOR'S DIPLOMA

WITH HONOURS

BD№ 008818

By the decision N 12 July 13,/ 2013 . /

of the faculty of

Architecture, Urban Planning and Design

Ms. Mariam Tsiklauri

was awarded the Degree of Bachelor of Architecture

სარეგისტრაციო Registration № 08816

თბილისი Tbilisi 11 რიცხვი/day 5 თვე/month 2015 წელი/year

საქართველო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბაკალავრის დიპლომი

წარჩინებით

BD№ 008818

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

ფაკულტეტის 2013 წლის 13. 7 № 12 .

გადაწყვეტილებით მარიამ წიკლაურს

მიენიჭა არქიტექტურის

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი

დეკანი / გოჩა მიქიაშვილი

Dean / Gocha Mikiashvili

ადგ. Seal

რექტორი / არჩილ ფრანგიშვილი

Rector / Archil Prangishvili